

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა
2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებულ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №224 ხელშეკრულებაში
(კონსოლიდირებული ტენდერი CON160000061)
ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

22 დეკემბერი, 2017 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში - „შემსყიდველი“), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის სოფიო ფირცხალავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №224 ხელშეკრულებაში (კონსოლიდირებული ტენდერი CON160000061) შეტანილ იქნეს ცვლილება და ხელშეკრულების მე-3 მუხლის I პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 5280 (ხუთი ათას ორას ოთხმოცი) ლარს“.

2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები და პუნქტები დარჩეს უცვლელად.

3. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ცვლილება ძალაში შევიდეს 2017 წლის 22 დეკემბრიდან.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, (ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს) და წამოადგენს 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №224 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

„შემსყიდველი“

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
გიორგი ხორბალაძე



„მიმწოდებელი“

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“

დირექტორის მინდობილი პირი
სოფიო ფირცხალავა

